დაგროვებითი საპენსიო რეფორმის შესაძლებლობები, გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში

თორნიკე არჯევანიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე

მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მარიამ ღირსიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2025

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თორნიკე არჯევანიძე, 6 ივნისი 2025

აბსტრაქტი

ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქაში მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება (Data-Driven Decision Making, DDDM) ნებისმიერი ორგანიზაციის წარმატების თუ წარუმატებლობის განუყოფელ ნაწილად იქცა, განსაკუთრებით კი იმ ინდუსტრიებში, სადაც მომხმარებელთა ქცევა მუდმივად იცვლება და ყოველი გადაწყვეტილების მისაღებისას ხელახალი ანალიზია ჩასატარებელი შეცვლილი ქცევის შესაბამისად. მოცემული სამაგისტრო ნაშრომი მიმოიხილავს მონაცემებზე დაფუძნებული მენეჯმენტის როლს და გამოწვევებს ონლაინ სათამაშო ინდუსტრიაში, კერძოდ ონლაინ აზარტული თამაშების სფეროში - სექტორში, რომელიც გამოირჩევა როგორც უკვე მრავალმილიონიანი მომხმარებლებით, ისე მუდმივად სწრაფად მზარდი ახალი კლიენტების შემოდინებით. კვლევა ძირითადად ეფუძვნება ლიტერატურულ მიმოხილვას, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა თეორიული ჩარჩო და გაანალიზდა ინდუსტრიის რეალური მდგომარეობა. შედეგებმა აჩვენა, რომ მიუხედავად BI(Business Intelligence) სისტემებისა და ქცევითი ანალიტიკის გარკვეული გავრცელებისა, პროგნოზული მოდელები (მაგ. churn prediction, Client Lifetime Value ანალიზი და User Clasterisation) სუსტადაა განვითარებული. კომპანიებში ძირითადად ვაწყდებით ისეთ ბარიერებს როგორებიცაა: ანალიტიკური კულტურის ნაკლებობა, ტექნიკური ინფრასტრუქტურის სისუსტე და მენეჯერული უნარების დეფიციტი. ნაშრომში წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები Data Governance-ის სტრუქტურაზე, პროგნოზული ანალიტიკის დანერგვის გზებზე და ორგანიზაციული ტრანსფორმაციის საჭიროებაზე. კვლევა ნათლად აჩვენებს, რომ მონაცემებზე დაფუძნებული მენეჯმენტის ინტეგრაცია არა მხოლოდ ზრდის მომხმარებელთა ლოიალობას და შემოსავლებს, არამედ ქმნის სტრატეგიულ კონკურენტულ უპირატესობას ონლაინ თამაშების სექტორში.